საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია
დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო.

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა"
თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15,000 მ.;
კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 400 მანეთი

№ 46
პარასკევი, ოქტომბრის 14
1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიის დრ. მთავარი კომიტეტი იწვევს ქ. ტფილისში პარტიულ ყრილობას

ა. წ. ოქტომბრის 30 ს.

განსახილველი საკითხები:

1. დრ. მთავარ კომიტეტის მოქმედება—მომხსენებელი ამხ. თედო ღლონტი.
2. მოხსენებანი ადგილებიდან.
3. პარტიის უახლოესი პრაქტიკული მიზნები—მომხ. ამხ. პარმენ ჭანიშვილი.
4. საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო—მომხს. ამხ. თ. ღლონტი.
5. ინტერნაციონალი—მომხსენებელი ამხ. სიმონ ხუნდაძე.
6. საბჭოთა სისტემა—მომხსენებელი ამხ. ვახტანგ კოტეტიშვილი.
7. პროფკავშირები და კოოპერაცია—მომხს. ამხ. ეფრემ ჩხუნაშვილი.
8. ახალგაზრდათა ორგანიზაციის საკითხი—მომხს. ამხ. სერგო ამაღლობელი.
9. წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლა.
10. მთავარი კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

ყრილობაზე გადამწყვეტი ხმით დელეგატი გამოიგზავნება მხოლოდ პარტიის წესდების მე 23 მუხლის მიხედვით. ქალთა, ახალგაზრდათა და პროფესიის წარმომადგენლებს მიეცემათ სათათბირო ხმის უფლება.

ყრილობაზე დელეგატები იგზავნება 100 წევრზე ერთი. თუ ორგანიზაციას არა ჰყავს სრული ასი წევრი, მაინც გზავნის ერთს დელეგატს.

ყრილობა გაიხსნება პარტიის ცენტრალურ ბიუროში (ლორის-მელიქოვის ქუჩა № 1) საღამოს სრულ 7 საათზე.

ყარსის კონფერენციის გამო

ამ რამდენიმე დღის წინად ქ. ყარსში გაიხსნა მეტად საყურადღებო და ნიშვნელოვანი კონფერენცია.

ქ. ყარსში პირველად თავი მოიყარა საბჭოთა რუსეთის, საქართველოს, აზერბეიჯანის სომხეთის და ოსმალეთის, (ანგორის) მთავრობათა წარმომადგენლებმა. ჯერ ჩვენს ხელთ არ არის დაწვრილებითი ცნობები კონფერენციის მოქმედების შესახებ და ამიტომაც შეუძლებელი ხდება მისი არსებითი შეფასება. მაგრამ კონფერენციამ დიდი როლი უნდა ითამაშოს აღმოსავლეთში, რევოლუციონური ფრონტის გამაგრების, და აქ მოსახლე ერთა შორის მტკიცე ურთიერთობის განმტკიცებაში: ეს მომენტები ჩვენი ერის ცხოვრებისათვის დიდათ მნიშვნელოვანია და ჩვენც გვინდა ჯერ-ჯერობით გამოვსთქვათ ჩვენი შეხედულებანი ყარსის კონფერენციის და მისი მთავარი პოლიტიკური ხაზის შესახებ.

საქართველო და მთელი ამიერ-კავკასია თავისი გეოგრაფიული მდგომარეობით ნაწილია ახლო აღმოსავლეთისა და დალაგება და მოწესრიგება ახლო აღმოსავლეთის საქმეებისა ხელს შეუწყობს, ნორმალურს კალაპოტში ჩააყენოს ამიერ-კავკასიის ცხოვრება. როგორც ვიცით, საქართველოს ისტორიული მტრები ახლო აღმოსავლეთის გზებით მოეშურებოდნენ და ჩვენს მეზობლად გაბატონებულმა იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა დიდი ზიანი მიაყენეს ქართველი ერის არსებობასა და წინმსვლელობას. ირანულ-მუსულმანური კულტურის ნაკადულები ძლიერ გავლენას ახდენდა ქართულ კულტურაზე, მაგრამ მუსულმანური იმპერიალისტური სახელმწიფონი შეუბრალებლის ჯალათობით ამსხვრევდნენ ჩვენს ეროვნულს სხეულს და არ აძლევდნენ საშუალებას აღორძინებისათვის. ჩვენი მეხსიერების სფეროდან არ ამოშლილა და არც შეიძლება ამოიშალოს ენვერ-ფაშის ოსმალეთის უკანასკნელი გამოლაშქრება საქართველოს გასანადგურებლად 1918 წ. როცა ჩვენ გვიხდებოდა აფორიაქებულ ცხოვრების ტალღებში ახალი პატარა რესპუბლიკის პირველი საფუძვლების ჩაყრა. ნათელია, რომ ასეთს პირობებში, რომელიც შემუშავდა ისტორიულად და რომელმაც დიდი ეროვნული შიში განამტკიცა ქართველ ხალხში, ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ახლო აღმოსავლეთში ნორმალური მდგომარეობის შექმნას და სალი ურთიერთობის განმტკიცებას. თუ ჩვენ ყარსის კონფერენციას ჩვენი ეროვნული საზომითა და სარგებლიანობის საზრისით მოვუდგით უნდა აღვიაროთ, რომ მან უნდა არსებითად გადასჭრას ჩვენი დიდი მტკივნეული კითხვები და უნდა გაგვინაღვლოს ის დანაკლისი, რომელიც ქართველმა ხალხმა დაჰკარგა ისტორიის მსვლელობაში. ოსმალეთთან ჩვენ დიდი სადავო საკითხები გვაქვს და ეს კითხვები არსებითად უნდა გადასწყდეს დღეს ურთიერთ შეთანხმების ნიადაგზე. ჩვენი წარსული აღსავსე არის ოსმალეთის ფაშებთან ბრძოლის მომენტებით. ამ ბრძოლებში საქართველო ყოველთვის თავდაცვის როლში გამოდიოდა. დღეს ჩვენ გვწყურია მოვსპოთ ოსმალეთის ხალხთან ყოველგვარი ბრძოლის მიზეზები და მტკიცე მეგობრული ურთიერთობა დავამყაროთ. ამ ჩვენს კეთილს მიზნებს შეიძლება დღესაც მრავალი დაბრკოლებანი გადაეღობოს წინ და არ მოგვცეს მისი განხორციელების შესაძლებლობა. ამ მხრით ერთი მთავარი მიზეზთაგანი ჩვენ უნდა ვეძიოთ ანგორის იმპერიალისტურს პოლიტიკაში. მიუხედავათ იმისა, რომ ანგორის მთავრობა დღეს იბრძვის იმპერიალისტურს ანტანტის წინააღმდეგ, მას ჯერ კიდევ არ აუღია ხელი აგრესიულს მიზნებზე. ჩვენ კარგათ გვახსოვს ამ მთავრობის გუშინდელი მოქმედება, როდესაც დიპლომატიურისა და სამხარის გზით მოინდომა სამაჰმადიანო საქართველოს ხელში ჩაგდება. 1921 წ. მარტში მოხდა რუსეთისა და ოსმალეთის წარმომადგენელთა მოსკოვის კონფერენცია, რომელიც დაუპირისპირდა მაშინ ლონდონის კონფერენციას, სადაც ამავე ანგორის წარმომადგენელი ბექირ-სამი ბეი დიპლომატიურ ვაჭრობას აწარმოებდა ანტანტის მოძალადეებთან. მოსკოვის კონფერენციაზე რუსეთის წარმომადგენელნი, მაშინ შექმნილ საერთაშორისო მდგომარეობის გამო, იძულებული შეიქმნა ჩვენდა დაუკითხავად—ჩვენივე საკუთარი ტერიტორია დაეთმო ანგორისათვის (.ოსმალეთისათვის). მაშინდელ პირობებით საკმაოთ ისარგებლა ანგორამ და დიპლომატიურის გზით მიითვისა ართვინ-არდაგანის ოლქები. მეორეს მხრით შეიარაღებული ძალით შემოიჭრა ბათომის ოლქში. ყოველივე ეს საკმაოდ ამჟღავნებს ქემალ-ფაშას ოსმალეთის იმპერიალისტურს მიზნებს. საქართველოს და მით უფრო, საბჭოთა საქართველოს არავითარი აგრესიული მიზნები არ ამოძრავებს და ჩვენი პოლიტიკა ურთიერთ-შეთანხმებისა და მეგობრული დამოკიდებულებისაკენ იქნება მიმართული. ჩვენ გვინდა ერთხელ და სამუდამოთ მოისპოს ჩვენს საზღვრებზე შექმნილი გაუგებრობა, წინააღმდეგობა და შიში. ჩვენი პოლიტიკა მშვიდობიანობის პოლიტიკა არის და ჩვენს ახლო-აღმოსავლეთის საკითხსაც ასეთივე საზომით უნდა მივუდგეთ ყარსის კონფერენციამ უნდა გადასინჯოს მოსკოვის დადგენილება და ართვინ-არდაგანი უნდა დაუბრუნოს თავის პატრონს.

რაც ითქვა საქართველოს შესახებ თითქმის იგივე შეიძლება ითქვას სომხეთსა და აზერბეიჯანის შესახებაც. მათი ინტერესები და პოლიტიკა მოითხოვს ისტორიულად შექმნილ უკუღმართობის მოსპობას, ოსმალეთთან ერთხელ და სამუდამოთ ყოველგვარი სადავო კითხვების გადაჭრას. სომხეთის წამებულმა ერმა დიდი ჩაგვრა და განადგურება განიცადა ოსმალეთის ფაშებისაგან. საბჭოთა რესპუბლიკებმა დღეს საერთო ენა უნდა მონახონ ანგორასთან და შექმნან თანამშრომლობის პირობები.

ამ გვარად ნორმალური ურთიერთობის შექმნა ოსმალეთსა და ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის მათი ძირითადი ინტერესებიდან გამომდინარეობს. ყარსის კონფერენციამ, ადგილობრივ ძალთა განწყობილებისა და ინტერესთა გაგების მიხედვით, უნდა მოახდინოს ისტორიული ცხოვრების მიერ შექმნილი უკუღმართობის ლიკვიდაცია და განამტკიცოს ამიერ-კავკასიის ერთა და ოსმალეთის შორის მშვიდობიანი ურთიერთობის შესაძლებლობა.

მენშევიკ-დაშნაკელებისა და მუსავატისტების ბატონობამ ამიერ-კავკასიასა და მის მახლობლად შექმნა ნაციონალური ბრძოლის დიდი ნიადაგი და ჩვენ მოწმენი ვიყავით იმ სამწუხარო ფაქტების, რომელიც ხდებოდა შეიარაღებული სისხლის მღვრელი შეტაკებანი. დღეს ამათ ბატონობას ბოლო აქვს მოღებული მუშათა და გლეხთა ხელისუფლებამ უნდა მოსპოს ყოველგვარი კაცისმჭამია შოვინიზმის საფუძვლები და განამტკიცოს, როგორც ამიერ-კავკასიის ფარგლებში, ისე მის მეზობლად ერთა თანამშრომლობის ნიადაგი.

მაგრამ ყარსის კონფერენციის მნიშვნელობას ჩვენ მარტო ამიერ-კავკასიის საზომით ვერ მივუდგებით. მისი მნიშვნელობა უფრო ფართო და ღრმა არის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყარსის კონფერენციაზე უნდა მოხდეს ერთგვარი გამაგრება რევოლუციონური ფრონტისა მახლობელ აღმოსავლეთში და რევოლუციის საზიანო პოლიტიკის რეალურად განადგურებასაც უნდა შეუწყოს ხელი. ერთის მხრით, თუ ის ცდილობს ეროვნული მშვიდობიანობა ჩამოაგდოს აქ მოსახლე ერთა შორის და მოსპოს მათ შორის არსებული წინააღმდეგობანი, მეორეს მხრით, მან უნდა შექმნას ამავე ნიადაგზე იმპერიალიზმის საწინააღმდეგო შეურყეველი სიმაგრე.

ყარსის კონფერენციაზედ ერთმანეთს უნდა შეხვდნენ რევოლუციონური სახელმწიფოთა და ანგორის წარმომადგენელნი. ანგორის მთავრობის პოლიტიკა და მთელი მისი მოღვაწეობა შეიძლება ორი საზომით განვიხილოთ: ის რევოლუციონური და პროგრესიულია იმდენათ, რამდენადაც ის ებრძვის საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად ევროპის მტყლეფელ იმპერიალიზმს განამტკიცებს აღმოსავლეთში და ჰქმნის ხელსაყრელ პირობებს იმპერიალიზმისა და კაპიტალიზმის სამუდამოდ მოსასპობად, მაგრამ ანგორას პოლიტიკა მიუღებელია და რეაქციონური იმდენად, რამდენათაც ის თავის საკუთარ ოჯახში ჰქმნის კაპიტალისტური ექსპლოატაციისათვის ნოყიერს ნიადაგს, და თუ ანგორას აქვს საბჭოთა რესპუბლიკებთან კავშირის მიზეზები, მეორეს მხრით მას მრავალი მომენტებიც აერთებენ ანტანტის იმპერიალისტებთან, რომელმაც მრავალჯერ სცადა ანგორა თავის მომხრეთა რიგში გადაეყვანა. ჩვენ არა გვაქვს იმის გარანტიები, რომ ანტანტის ასეთი ზრახვები როდისმე არ დამთავრდება მისთვის დადებითად და არ შექმნის ამიერ-კავკასიის შემოსავლელ კარებთან დიდ კონტრ-რევოლუციონურ ფრონტს. ყარსის კონფერენციის დადებითად დაგვირგვინება და ოსმალეთისა და ამიერ-კავკასიის ერთა შორის მტკიცე კავშირის გაბმა, აუცილებლად მოაქცევს ანგორას საბჭოთა რესპუბლიკების ორბიტში და მათი გავლენა გადამწყვეტ როლს ითამაშებს ოსმალეთის ცხოვრების ვითარებაში.

აღნიშნულ ტერიტორიალურს ერთეულებში ასეთი დიდი კავშირის განმტკიცება შეჰქმნის, ერთის მხრით, საგრძნობ რეალურს ძალას ყოველგვარი კონტრ-რევოლუციის დასაპირისპირებლად, მეორეს მხრით უდიდესს იდეურსა და მორალურს ზეგავლენას მოახდენს ახლო აღმოსავლეთში მობინადრე ერთა ცხოვრებაზე და ხელს შეუწყობს რევოლუციონური მოძრაობის განვითარებას აღმოსავლეთში.

ყარსის კონფერენციის წინაშე დიდი და მნიშვნელოვანი საკითხები სდგანან და მათი სასურველად გადაწყვეტა შეჰქმნის რევოლუციონური მოძრაობის განსავითარებლად ახელსაყრელ პირობებს.

სიმ. ხუნდაძე

კავკასიის ხალხთა შეთანხმება

II *).

პირველ წერილში (იხ. „თავ. საქ." № 3) ჩვენ დავინახეთ, თუ რამდენათ სასურველი და სასარგებლოა, კავკასიის ხალხთათვის ოთხ რესპუბლიკათა შორის დადებული ხელშეკრულობა.

ხსენებული შეთანხმება გამომდინარეობს საერთო ინტერესებიდან და აუცილებელია კავკასიის ერთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცველათ და უზრუნველსაყოფათ, ასეთია მისი შინაგანი მნიშვნელობა.

კითხვა იბადება: როგორია ამ ფაქტის საერთაშორისო ღირებულება?

შეიძლება რომელიმე ერს ან ერთა ჯგუფს თავისთავად ძრიად სასურველი და სიმპატიური მიზნები ჰქონდეს დასახული, მაგრა ამავე დროს მისი განხორციელება ფერხდებოდეს სხვა რომელიმე უფრო ძლიერი ერის თუ ერების წინააღმდეგობის გამო.

გვაქვს თუ არა ჩვენ ამ შემთხვევაში ასეთ მოვლენასთან საქმე? ეწინააღმდეგება თუ არა კავკასიის ერთა თავისუფლება დიდი სახელმწიფოების ინტერესებს? ესე იგი საერთაშორისო ძალთა ურთიერთობა უწყობს ხელს თუ არა მომხდარ შეთანხმების განხორციელებას?

კავკასია აკავშირებს ერთიმეორესთან ევროპასა და აზიას. აქ თავს იყრის უდიდესი საერთაშორისო გზები. ამ გზების მშვიდობიანობაში ობიექტიურათ დაინტერესებულია უდიდესი და უძლიერესი ქვეყნები. აქედან მიდის სპარსეთსა და ინდოეთში ხმელეთის გზა. უკანასკნელით სარგებლობას ლამობენ დღეს საბჭოთა რუსეთის მართველები, რომ ფეხი დაიბიჯონ ინგლისის ამ ყველაზე უფრო მტკივან ადგილს.

კავკასია და ამიერ კავკასია რუსეთის ხელში—სულ ერთია, იქნება ის საბჭოთა რუსეთი თუ განახლებული ბურჟუაზიული რუსეთი—ეს ნიშნავს საერთაშორისო მშვიდობიანობის მუდმივ საფრთხეში ყოფნას, გაძლიერებულ შეიარაღებას, განუწყვეტელ დიპლომატიურ ინტრიგებს და ხშირ-ხშირ ომებს ახლო და შუა აღმოსავლეთში ე. წ. წონასწორობის შესანარჩუნებლათ.

რუსეთის ძალა-უფლების აღდგენა კავკასიაში—ეს იქნება ისეთი ახალი კვანძის გასკვნა, რომლის გახსნას მომავალში დასჭირდება უდიდესი მსხვერპლი კაცობრიობის მხრით. მთელი რიგი დიდი სახელმწიფოებისა და უპირველეს ყოვლისა ინგლისი—ობიექტიურათ და ფაქტიურათ დაინტერესებულია იმაში, რომ კავკასიაში არ ბატონობდეს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლია დიდი აგრესიული მიზნების დასახვა და განხორციელება, რომელიც დაემუქრება მის უდიდეს სამფლობელოებს და საზოგადოთ შეზღუდავს მის ეკონომიურ და პოლიტიკურ ინტერესებს.

პატარა ერთა თავისუფალი რესპუბლიკების არსებობა კავკასიაში და მათი თავდაცვითი კავშირი ამ მხრივ უდიდესი გარანტია იქნება მშვიდობიანობის.

დღეს თვით ბურჟუაზიული ევროპა საკმაოდ დარწმუნდა იმაში, რომ იარაღით არ შეიძლება გადაიჭრას თანამედროვე პოლიტიკური და ეკონომიური პრობლემები. ამიტომ თვით ისინიც კი, ვინც წინეთ ომს ეტრფოდენ და მსოფლიო საკითხებს იარაღით სწყვეტდენ, —თვით ასეთი წრეებიც კი დღეს იძულებული ხდებიან სხვაგან ეძებონ გამოსავალი გზები და შექმნან ისეთი პოლიტიკური კომბინაციები, რომლებიც ფაქტიურათ დაედებიან საერთაშორისო მშვიდობიანობის საქმეს.

კავკასიის ერთა თავისუფალი არსებობა და მათი კავშირი უეჭველათ ერთი ასეთი ფაქტორთაგანია.

თითონ ის (კავკასიის რესპუბლიკათა კავშირი) არ შეიძლება გახდეს აგრესიული და იმპერიალისტური. ის არ დაემუქრება და ვერც დაემუქრება სხვის საარსებო ინტერესებს. არც პოლიტიკური და არც ეკონომიური ინტერესები აიძულებს მას შეიქნეს სხვისი მყუდროების დამრღვევი. არც მცხოვრებთა რაოდენობის მხრივ წარმოადგენს იგი ისეთ მოვლენას, რომელიც შესაძლებელს ხდიდეს მის აგრესიობას. ბუნებრივათ, ეკონომიურათ და პოლიტიკურათ ის მხოლოდ იმისთვისაა გაჩენილი, რომ იყოს მშვიდობიანი და კეთილი მეზობელი სხვისთვის და იმუშაოს მხოლოდ საკუთარი აღორძინებისა და წარმატებისათვის.

ასეთია ობიექტიურათ მისი საერთაშორისო მდგომარეობა.

ეს თვისება, რომელიც გამომდინარეობს არა მისი კეთილი განზრახვებიდან, არამედ მისი ცხოვრების ბუნებრივ და სოციალურ თვისებებისაგან, მით უფრო საყურადღებოა, რომ ის სავსებით ეთანხმება თანამედროვე პროგრესისა და კულტურის განვითარებას.

დღეს ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ერთა თავისუფლება და დამოუკიდებლობა პროგრესის აუცილებელი პირობაა. თანამედროვე ეპოქის ერთი უდიდესი დამახასიათებელი თვისება სწორეთ ის არის, რომ ყველა ერი, როგორც ევროპაში, ისე აზიაში, როგორც ძველ, ისე ახალ ქვეყანაში მიილტვის განთავისუფლებისაკენ და ამ ძლიერი მისწრაფებისათვის ხელოვნური დაბრკოლებების შექმნა მხოლოდ ახანგრძლივებს კრიზისს და ქმნის საზოგადოების ზედმეტ ტკივილებს.

თვით პატარა ერთა მპყრობელ სახელმწიფოების სწორათ გაგებული ინტერესები არ მოითხოვს უეჭველათ პირველთა თავისუფლების წინააღმდეგ ამხედრებას. პირიქით, რაც უფრო მეტ დათმობას და გონიერებას გამოიჩენს ამ მხრივ დიდი ერი, უკეთესია თითონ მისთვის, ვინაიდან სხვებზე ძალით ბატონობა მოითხოვს უსარგებლოთ ძალების გაფლანგვას, რაც იწვევს შინაგან სისუსტეს და ჩამორჩენას. სწორეთ ამან დაღუპა ავსტრო უნგრეთი, ძველი ოსმალეთი და სხვ.

ეს კარგათ ესმის თანამედროვე მოწინავე დემოკრატიას—მუშათა კლასს და ამიტომ არის, რომ იგი ყველგან და ყოველთვის გამოდის ერთა თვით გამორკვევისა და თავისუფლების უდიდეს მომხრეთ. დღეს ბოლშევიკური იმპერიალიზმის წინააღმდეგ იგი იმაღლებს მედგრათ ხმას. ეს გარემოებაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, როცა ვლაპარაკობთ კავკასიის რესპუბლიკათა არსებობის უზრუნველყოფაზე.

მართალია, მუშათა კლასი ჯერ კიდევ ვერ გასწორებულა წელში საერთაშორისო ომის შედეგებისაგან, ჯერ კიდევ მისი წრეები გათიშული და დაქსაქსულია, მაგრა ეს გათიშული და დაქსაქსული ძალაც ფაქტიურათ უდიდეს როლს თამაშობს საერთაშორისო პოლიტიკაში. ისტორიულ განვითარებას კი იგი მიჰყავს აუცილებელ გაერთიანებისაკენ. საერთაშორისო ცხოვრების ეს ახალი ფაქტორი სავსებით პატარა ერთა თავისუფლების მხარეზეა, რასაც ის ადასტურებს არა მარტო რეზოლუციებით და პლატონიური სურვილებით, არამედ თავისი პრაქტიკული გამოსვლებითაც.

ამნაირათ, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებანი გვაფიქრებინებს, რომ არ არის და ვერც იქნება ფიქცია კავკასიის ერთა თავისუფლება და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რომ ტყუილათ არ ჩაივლის ამ ხალხების და მათ მეთაურთა მისწრაფება—გაინთავისუფლონ თავი უცხო უღელ ძალის ბატონობისაგან, რომელიც დღეს უდიდესი იდეალების სახელით ურცხვათ ფეხქვეშ თელავს ადამიანისა და ერის ელემენტარულ უფლებებს.

---

*) მას შემდეგ, რაც მენშევიკებმა, დაშნაკელებმა, მუსავატელებმა და მთიელებმა გაიერთიანეს პარიზში კავკასია, მათ პრესაში იწყება ასეთი პროპაგანდაც. მენშევიკების ჟურნალიდან „თავისუფალი საქართველო" დან, გამოცემა პარიზისა, ვბეჭდავთ ერთ წერილს, როგორც ამის ილუსტრაციას.

რედ.

რუსეთი

მოსკოვი. პსკოვის ეკლესიაში არქიელის სიტყვის წარმოთქმის შემდეგ, რომელიც მოუწოდებდა ხალხს დამშეულთა დასახმარებლად შეაგროვეს 1.127,000 მანეთი.

მოსკოვი. წელს ყუბანი, რომელიც ითვლება რუსეთის ბეღლად ძლივს შეაგროვებს 10 მილიონ ფუთ პურს. მიუხედავათ ამისა, ყუბანი მაინც ფართოთ დახმარებას უწევს დამშეულთ. ყუბანში შეგროვდა 440 მილიონი მანეთი დამშეულთა სასარგებლოთ.

პეტროგრადი. იურევში დაიწყო 50 კომუნისტების საქმის გარჩევა.

უცხოეთი

ბათომში ტრაპიზონის რადიო იუწყება შემდეგს: ათის ამ თვეს ანგორიდან ოფიციალურად იუწყებიან, რომ ესკი-შეჰირის მიმართულებით მწვერვალთა მოქმედება გრძელდება. ოსმალთა იერიში ბერძნებმა დასტოვეს რამდენიმე სოფლე-

ბი და ლაიბიჯს თასალონიკისაკენ ოსმალთა კავალერიის და ქვეითი ჯარის შესევით ოფიცერ კარაკესტრის მიმართულებით ბერძნები იძულებული იყვნენ გადაეგდოთ თავიანთი ნაწილები ჩრდილოეთ სამხრეთის ფრონტზე.

ბერლინი. ლეიპციგში დაიწყო სამოსამართლო პროცესი 22 კომუნისტზე, რომელთაც ბრალად სდებენ წითელი არმიის მოწყობის ცდაში და არსებული წესწყობილების დანგრევის მიზნით.

რომი. ერთა ლიგის საბჭომ მოიწონა წინადადება, რომ მივლინებული იქმნას ალბანიაში განსაკუთრებული საგამომძიებლო კომისია სამი წევრისაგან შედგენილი. კომისიამ უნდა გამოარკვიოს ურთიერთი დამოკიდებულება ალბანიისა და სერბიის და საკითხი ალბანეთის საზღვრების შესახებ.

რომი. კონფერენცია უნგრეთის საკითხის შესახებ გაიხსნა გუშინ 12 ოქტომბერს ვენეციაში იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით.

ნაუენი. თუ რომ ლიბერალები უარსა ჰყოფენ კოალიციურ სამინისტროში მუშაობას ბრანტინგი შეადგენს წმინდა სოციალისტურ კაბინეტს შვეციაში.

კონსტანტინოპოლი. გაზეთი „კლერონი“-ს ცნობით ოსმალეთის ერთი საუკეთესო ფრინავთაგანი ბეხდშიტ-ბეი სამეფო ზეიმის დროს ჩამოვარდა. მისი ჰაეროპლანი დაიწვა. ანგორაში მოწყობილი იყო მისი საზეიმო დასაფლავება.

კონსტანტინოპოლი. სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ ჩრდილოეთ ეპირში და ალბანიაში დიდი მღელვარებაა ბერძენთა წინააღმდეგ.

ლონდონი. ნახშირის ფასის დაწევამ შესამჩნევად გამოაცოცხლა წარმოება მუშაობა ფაბრიკა ქარხნების წარმოებისა ძლიერდება.

პარიზი. ალმაზარში (200 ვერსით მადრიდიდან) მეამბოხენი სისტემატიურად თავს ესხმიან ისპანიის სამხედრო სადარაჯოებს. უკანასკნელ თავდასხმაში მოკლეს 50 ჯარის კაცი, 5 ოფიცერი, და რამდენიმე ათეული კაცი. „ტაიმსი“ ამტკიცებს, რომ ისპანიის პოლიციის მიერ მაროკოში აღმოჩენილია რევოლიუციონური პარტია, რომელსაც მიზნად დასახული აქვს ისპანიის მთავრობის ჩამოგდება მაროკოში. ბრძოლის ერთ საშუალებათ გამოცხადებულია სისტემატიური ტერორი ისპანიის მოხელეთა და სამხედრო მოსამსახურეთა წინააღმდეგ.

ლონდონი. ბრიტანიის კომპარტიამ მიმართა ბრიტანიის ყველა მუშებს მოწოდებით მოაწყონ ფართო საერთო ინგლისური დახმარების კომიტეტი.

ვარშავა. 27 სექტემბერი. პარიზის გაზეთები ბევრს სწერენ იმის შესახებ, რომ მუშათა სინდიკატების შენობაზე მერვე დღეა უკვე რაც წითელი დროშა ფრიალებს. მდივანი ლეოპოლდ იორი კატეგორიულად უარს აცხადებს დროშების ჩამოხსნაზე პოლიცია ზომებს ღებულობს ძალით ჩამოხსნას დროშა. წითელმა დროშამ პარიზში სენსაცია გამოიწვია. („პრ.“)

რომი. 27, სექტემბერი. კვირას მოკლულ იქმნა ფაშისტების მიერ დაბა მოლაში (ბარის პროვინცია) ახალგაზრდა სოციალისტი დეპუტატი დივანი, რომელიც მიტინგზე გამოვიდა. ის მოკლულ იქმნა მუხანათურად ზურგიდან, როცა უცდიდა ბარიში წასასვლელ მატარებელს, მკვლელები ჩვეულებისამებრ მიიმალნენ. მთელი მცხოვრები ბარისა და პროვინციისა აღშფოთებულია ბოროტმოქმედებით. დაუყონებლივ გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვა მთელს პროვინციაში და შეწყვეტილია ელექტრონის მიცემაც კი. არ გამოსულა გაზეთები შეწყვეტილია ტელეგრაფის მუშაობა და მატარებლის მოძრაობა. („პრ.“)

ვარშავა. 26 სექტემბერი. გუშინ ლვოვში, როცა აღმოსავლეთის გამოფენა გაიხსნა. პოლონეთის სახელმწიფოს უფროსის, რომელიც ბრუნდებოდა ავტომობილით ლვოვის „ვოევოდის“ გრაბოვსკის თან ერთად მოკვლა განიზრახეს. უცნობმა ახალგაზრდამ გაისროლა ავტომობილისაკენ ოთხჯერ. ერთი მათგანი მოხვდა გრაბოვსკის და თავში დაიჭრა. სახელმწიფოს უფროსი უვნებელი დარჩა წამოდგა ავტომობილში და ხმამაღალი ყვირილით შეაჩერა გამვლელ-გამომვლელნი, რომელნიც დაესივნენ ბოროტმოქმედების ჩამდენს თვითგასამართლებისათვის. მსროლელი აღმოჩნდა პოლიტექნიკუმის სტუდენტი სტანისლავ შტეიგერი, შვილი უკრაინის ბანკის დირექტორისა. ამ მკვლელობის განზრახვასთან დაკავშირებულია მრავალი უკრაინელი რესპუბლიკელების დაპატიმრება. („პრ.“)

რომი. 27 სექტემბერი ლონდონის გაზეთების ცნობით ულსტერში კვირა საღამოს მოხდა ახალი შეტაკებანი. ბელფასტში შეტაკებების შემდეგ აღმოჩნდა 20 მკვდარი და 60 მძიმედ დაჭრილი. დუბლინიდან გაიგზავნა ჯავშნიანი ავტომობილები, არტილერია და ორი ბატალიონი ქვეითა ჯარისა.

საქ.-სოც. ფედ. სარ. პარტიაში

შაბათს, ოქტომბრის 15 ს, საღამოს 7 საათზედ, პარტიის მთავარ ბიუროში (ლორის მელიქოვის ქ. № 1) დანიშნულია სოც.-ფედ.-ტ ქალთა კრება.

ახალი ამბები

მწერალთა ახალი საბჭო. სრულიად საქართველოს მწერალთა კონფერენციამ აირჩია ახალი საბჭო შემდეგი პირებისაგან: გრიშაშვილი ი., გამსახურდია კონსტ., აბაშელი ალ., რუხაძე ვარლამ, ქიაჩელი ლეო, რუხაძე არჩილ, მაღლაძე ილია, მაყაშვილი კოტე, კოტეტიშვილი ვახტანგ, აბაშიძე კოკი, ობოლი მუშა, ეკალაძე ია, ტაბიძე ტიციან. ამავე კონფერენციაზე მიღებულ იქმნა მთელი რიგი რეზოლიუციებისა, რომელსაც შემდეგ მოვათავსებთ.

— **ცეცხლი ორიანტში.** 12 ოქტომბერს საპოსტო მილიციონერის მიერ შენიშნული იყო სქელი კვამლი, რომელიც ამოდიოდა საბჭოთა სახლის (ყოფილი სასტუმრო ორიანტი) სახურავიდან. დროზე ეცნობა რა ცეცხლის მქრობელთა რაზმს სასწრაფოთ მოვიდა ადგილზე, რომელმაც მოახერხა ცეცხლის ჩაქრობა. ცეცხლი გაჩნდა გაუფრთხილებლობისა გამო. დაზარალებულია სახურავის ნაწილი და ზედა სართულის ჭერი.

— **მადატოვის კუნძულიდან** განტვირთვის კომისიამ გადაასახლა 500 ოჯახი ერივნის გუბერნიიდან გამოქცეული აისორები და იეზიდები, რომელნიც ცხოვრობდენ გამოურკვეველი მუშაობით. პირველ შემთხვევისთანავე მათ გაგზავნიან სამშობლოში.

— **ქალაქის რევკომის მართველობა** საყოველთაოთ აცხადებს, რომ ქალაქის რევკომის თავმჯდომარე საბინაო საკითხის შესახებ მთხოვნელებს არ ღებულობს, როცა საქმე ეხება მუშათა კომისიის მოქმედებას, უნდა მიმართონ ამხ. ლევან ლორთქიფანიძეს დილის 8 ნახ. საათიდან 11 ნახ. საათამდე განთის ქუჩა № 3. ბინის დანარჩენ საკითხზე მიმართონ ამხანაგ აკოფაშვილს იქვე.

— **სოხუმი.** გუმისტის სამაზრო რევკომთან მოწყობილი სამხედრო განყოფილების სამეულის ბრძანებით გამოცხადებულია 7 ოქტომბერს, რომ მოახდინონ რეგისტრაცია ყველა იმ პირთა, რომელთა წლოვანება არ არის მიხწეული 64 წლამდე, და რომელთაც უმსახურიათ ოდესმე წითელ, თეთრს და იმპერიალისტურ არმიაში.

— **საბარგო ტარიფი.** დაუსახელებლად თუ რა ბარგია ერთი ფუთის გადატანა დიდი სისწრაფით ღირს:

სადგ. ტფილისიდან—	სადგ. გორამდე	3680	მან.
„	ხაშურამდე	5220	„
„	სურამამდე	5520	„
„	ბორჯომამდე	6440	„
„	ჭიათურამდე	9164	„
„	ქუთაისამდე	9664	„
„	სამტრედიამდე	10,584	„
„	აბაშამდე	11,504	„
„	ნატანებამდე	13,344	„
„	ახტაფამდე	4144	„
„	ელისავეტპოლ.	8880	„
„	ევლახამდე	11,504	„
„	ბაქომდე	23,400	„
„	როსტოვამდე	61,600	„
„	ალექსანდროპ.	9664	„
„	ერევნამდე	16,500	„
„	წნორის-წყალამ.	6640	„
„	თელავამდე	6904	„

დადგენილება № 83

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

დაწესებულებათა და წარმოებათ შტატების შემამცირებელი კომისიების დებულების შესახებ.

რადგანაც საჭიროება მოითხოვს, რომ საბჭოთა ყოველ დაწესებულებასა და წარმოებაში თანამშრომელთა პირადი შედგენილობა, რაც შეიძლება შესამჩნევად და ამასთანავე მიზანშეწონილად იქნეს შემცირებული, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. დაარსდეს შრომის სახალხო კომისარიატთან და სამაზრო შრომის განყოფილებასთან საშტატო კომისიები ხუთი წევრის შედგენილობით: ორი წარმომადგენელი პროფესიონალური კავშირების სათანადო საკავშირთაშორისო კრებულისაგან, ორი წარმომადგენელი შრომის სახალხო კომისარიატისა, ხოლო ადგილობრივ შრომის განყოფილებისაგან, და ერთი წარმომადგენელიც მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისაგან.

კომისიის მოვალეობას შეადგენს:

ა) გამოკვლევა, თუ რამდენად შეესაბამება თანამშრომელთა პირად შემადგენლობას დაწესებულებათა სამუშაოს რაოდენობა და მათი აგებულებრივი წყობილების ხასიათი.

ბ) განსაზღვრა, თუ რამდენად შეიძლება შემცირებულ იქნეს თანამშრომელთა პირადი შედგენილობა.

გ) შემუშავება ძირითადი პრინციპებისა,—შტატების შემცირების გამო, თანამშრომელთა დათხოვნისათვის—განსაზღვრულ რაოდენობამდე.

დ) თვალყურისდევნება რათა კომისიის მიერ განსაზღვრული და სათანადო წესით დამტკიცებული—შტატების შემცირება ფაქტიურად აღსრულებულ იქნეს.

ე) შემუშავება და განსაზღვრა დაწესებულებათათვის ნორმალური და მტკიცე შტატებისა.

ვ) განხილვა და გადაწყვეტა ყოველი საკითხისა, რაც შეიძლება აღიძრას მუშაობის პროცესში, დაწესებულების თანამშრომელთა რიცხვის ფაქტიურად შემცირებისა და მტკიცე შტატების შემოღების გამო.

3. შტატების შემამცირებელ კომისიას ევალება გამოიკვლიოს დაწესებულების მდგომარეობა ამ დაწესებულების წარმომადგენელთა (ადმინისტრაციისა და თანამშრომელთა ადგილობრივ კომიტეტისა) და აგრეთვე სათანადო კავშირის ეკონომიური განყოფილების წარმომადგენლის აუცილებელი მონაწილეობით.

4. დაწესებულების თანამშრომელთა პირად შედგენილობას შემცირებს ადმინისტრაცია ადგილობრივ სატარიფო შემფასებელი კომისიის დასკვნის თანახმად და იმ პრინციპების მიხედვით, რაც შეიმუშავებია საშტატო კომისიას სათანადო პროფესიონალურ კავშირთან ერთად.

5. შტატის შემცირება, რომელსაც საშტატო კომისია საჭიროდ სცნობს ამა თუ იმ დაწესებულებისათვის, უნდა დასრულდეს 14 დღის განმავლობაში დაწესებულების მიერ შრომის სახალხო კომისარიატისა ან შრომის განყოფილებისაგან სათანადო მიწერილობის მიღების დღიდან; ამასთანავე დაწესებულება ვალდებულია გაუგზავნოს შრომის სახალხო კომისარიატს ან შრომის ადგილობრივ განყოფილებას,—არა უგვიანეს ერთი კვირისა, შტატის ფაქტიურად შემცირებამდე,—ცნობა შტატის შემცირების გამო სამსახურიდან დასათხოვნელ თანამშრომელთა შესახებ, თანახმად ფორმებისა, რომელსაც შეიმუშავებს შრომის სახალხო კომისარიატი.

6) ყოველგვარ მასალას დაწესებულებაში შტატების ფაქტიურად შემცირების შესახებ ადმინისტრაცია და ადგილობრივი სატარიფო-შემფასებელი კომისია, მუშაობის დამთავრების შემდეგ, დაუყონებლივ წარუდგენენ შრომის სახალხო კომისარიატს ან შრომის განყოფილებასთან არსებულ საშტატო კომისიას.

7. დაწესებულებათა ვითარების გამოკვლევით შეგროვილი მასალისა და შტატების ფაქტიურად შემცირების გამოცდილების მიხედვით, საშტატო კომისია, სათანადო პროფესიონალურ კავშირთან ერთად, შეიმუშავებს გამოკვლეულ დაწესებულებათათვის ნორმალურ, მტკიცე შტატებს და პროექტს მათი აგებულებრივი წყობილების შეცვლის შესახებ.

8. თვითეული ცალკე წარმოების გამოკვლევის შემდეგ, კომისია, სათანადო პროფესიონალურ კავშირსა და ადმინისტრაციასთან ერთად,—ყოველ თავის წინადადებას დაწესებულების აპარატის გაუმჯობესების შესახებ, დაკავშირებულს შტატის შემცირებასა, რეკონსტრუქციასა, მტკიცე შტატების დაწესებასთან და სხვ,—წარადგენს დასამტკიცებლად სათანადო რევოლიუციონურ კომიტეტში.

9. ყოველი ადგილობრივად არსებული კომისია, რომელიც ასრულებს ამ დებულების მუხლებში აღნიშნული სახის ფუნქციებს,—უნდა გაუქმდეს და ყოველი თავისი ნამუშევარი და მასალები გადასცეს ამ დებულების საფუძველზე დაარსებულ საშტატო კომისიას.

10 შტატების შემცირებისა და მტკიცე შტატებისა და დაწესებულებათა რეკონსტრუქციის პროექტის შემუშავების საქმის დამთავრების შემდეგ, სამაზრო საშტატო კომისიები წარუდგენენ შრომის სახალხო კომისარიატს ან არსებულ კომისიას მოხსენებას მათ მიერ წარმოებული მუშაობის შესახებ.

11. შრომის სახალხო კომისარიატს და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს ნება ეძლევა ამ დადგენილების განსავითარებლად და განსამარტებლად გამოსცენ სათანადო ინსტრუქციები.

12. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოცხადებისა.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
ს. ქავთარაძე.

შრომის სახალხო კომისრის მოადგილე **არჩ. მიქაძე.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. ხადარიძე.**

1921 წ. ოქტომბრის 12.
ტფილისი.—სასახლე.

მოწერილი ამბები

ხარაგოულის საბავშო ბაღი. ახალ სასწავლო წლის დამდეგს მოქმედებას დაიწყებს ხარაგოულის საბავშო ბაღი. ეს მოვლენა აუცილებლად აღსანიშნავია აღსანიშნავია იმიტომ, რომ პატარა დაბაში უაღრესად დიდ საქმეს ეყრება საძირკველი და ამ საქმისათვის წესიერი და მიზან შესაფერისი მიმდინარეობის მიცემა, სამაგალითო იქნება ყველა იმ პერიფერიებისათვის რომლებიც შემდეგ განიზრახავენ მსგავსი საბავშო ბაღის დაარსებას.

თანამედროვე ევროპის კულტურის სწორი გაგება, რომელიც აღზრდის ერთ მიზანს შეადგენს, იმდენად რთული და იმავე დროს ფაქიზი საქმეა, რამდენადაც არ შეიძლება ამ მიზნის შეგრძნება გარეშე იმისა, რაც გამოკვლეული და შესწავლილია მრავალი ექსპერიმენტების შემდეგ ექსპერიმენტალურ პედაგოგიკაში და რომელიც ერთს გარკვეულ მეცნიერულ თეორიაში არის ჩამოყალიბებული. მოზარდი თაობის აღზრდას, რომელიც განსაზღვრულ ჰუმანიურ-ფსიქოლოგიურ კანონებთან შეფარდებით უნდა ხდებოდეს მაშინ აქვს სეზონი, როცა ის ემსახურება თავისი პირდაპირი იდეის სუბიექტის ინდივიდუალურ ბუნებრივი ნიჭის გაფურჩქვნას და ამ ნიჭის იმ ფორმის შექმნას რომლის დასრულების პროცესი, იმ სახით უნდა ვითარდებოდეს, როგორსაც მოვითხოვთ საზოგადოების მორალი, სადაც უხდება ამ სუბიექტს შემდეგი ცხოვრება.

საბავშო ბაღი რომელსაც საფუძვლად უდევს და შენდება მონტესორის სისტემაზე, ორი საფეხურისაგან შესდგება. პირველი გრძელდება დაახლოვებით 3—4 წლით, სადაც მიიღებიან 3 ნახ.—4 წლის, ბავშები და იმყოფებიან 7 წლ. ასაკამდე. ეს ბაღი ანვითარებს პატარა ბავშვის უმანკო სულიერ ძალებს და მისგან შეუმჩნევლად მოამზადებს მას ზოგიერთ მათემატიკურ და ჰუმანიტარულ საგნების შესავალში ზეპირ სავარჯიშოდ მეორე საფეხურის საბავშო ბაღში კი მიიღებიან პირველიდან ე. ი. 7 წლის ბავშები დარჩებიან 14 წლის ასაკამდე. აქ ბავში ასრულებს მთლიან შრომის სკოლის და კურსის დამთავრების შემდეგ ეძლევათ საშუალება საშუალო სკოლაში სწავლის გაგრძელებისა. ამ ორი საფეხურის ბაღში უფრო ძნელი და გაცილებით მეტ ცოდნას მოითხოვს პირველი, სადაც შედიან არაფრის მცოდნე პატარა ბავშები, რაიმე ცოდნის შესაძენად.

ყოველი პედაგოგი რომელიც იკისრებს საბავშო ბაღში მუშაობას ყოველთვის, უნდა გრძნობდეს თავისი დიდი ფუნქციის სიძნელეს და ზედმეტი სიფრთხილით უნდა აწარმოებდეს თავის მუშაობას სწავლების დროს.

ხარაგოულის საბავშო ბაღიც ასეთივე პირველი საფეხურის ბაღია, რომლის სიძნელეც ამავე მდგომარეობიდან გამომდინარეობს. ეს ბაღი, როგორც პირველი ცდა მრავალ ტექნიკურ და იდეიურ ნაკლოვანებას ვერ ასცდება. ეს ბუნებრივია. დღევანდელი ბაღის ბინა, რომელიც ერთმა ადგილობრივმა ამხანაგმა გამოსცა, ყოვლად შეუფერებელია საბავშო ბაღის მიზნისათვის საზოგადოთ. იმ ინიციატორ პირებმა და ხარაგოულის ხელისუფალი ორგანიზაცია — რევკომმა, რომლებმაც ამ დიდი სამაგალითო საქმის დაარსების საშუალება დაიჭირეს, აუცილებლად უნდა მიაქციონ ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება და აღმოუჩინონ ბაღს შესაფერი შენობა რამდენიმე ოთახით და შესაფერისი სიდიდის ეზო—ბაღით, უიმისოთაც მისი არსებობა უაზრო იქნება.

— დაჩქარებით უნდა შეიძინონ საჭირო ინვენტარი და მოაწყონ ბავშვთა კვება—მთელის ორგანიზაცია რისთვისაც ცხადია, უნდა აღიძრას შესაფერი შუამდგომლობა, სადაც საჭირო იქნება. და ამით საშუალებას მისცემენ ამ ბაღის გამგეს, თავის მისიას ასრულებდეს დანიშნულებისამებრ.

მრავალ დაბრკოლებებთან მოუხდება ბრძოლა ამ ბაღის ახალგაზრდა გამგე-ხელმძღვანელს, ამხ. ნ—ძის ასულს, რომელსაც დიდი ხალისით და წმიდა სურვილით უკისრნია ამ საქმის გაძღოლა. ის დიდი მცნება, რომელიც საბავშო ბაღის საფუძვლად შეადგენს, ცხადია, გათვალისწინებული იქნება მას და ასეთი მოწოდებით მასწავლებელ-აღმზრდელი არ დაიშურებს [illegible] ერი და ფიზიკური ენერგია ამ სამსახურისთვის, რომელიც [illegible] მას თავისი დანიშნულება.

სამარადისოდ უნდა ახსოვდეს საბავშო ბაღის მასწავლებელ-აღმზრდელებს, რომ მათ ხელში 4—7 წლის ასაკის პატარა თაობა იმყოფება და ეს ის დროა, როცა მისი ბუნება ყველაფრის ადვილად შემგრძნებელია—როცა ის იმ ცარიელ ქაღალდს წარმოადგენს, რომელზედაც ყოველგვარი სიტყვის მოთავსება შეიძლება. აღსაზრდელი, აღმზრდელის სულიერი მემკვიდრეა.

თუ მასწავლებელი დანიშნულების სიმაღლეზე ვერ სდგას, ის დიდ ცოდვას სჩადის და სიცოცხლეშივე კლავს ახალგაზრდა ნიჭს, თვითონ კი მოუხდება სასტიკი პასუხის გება სინდისის წინაშე. სრულიადაც არ ვფიქრობ—ამით რაიმე ახალი შეიქმნა. როგორც ყველასთვის, ისე ხარაგოულის საბავშო ბაღის ხელმძღვანელთათვის, ზემოთ ხსენებული, ცნობილი თეორიების სხვა ფრაზეოლოგიით განმეორებაა. ეს ცხადია, მაგრამ მე მაინც მოვაგონებ და აქეთკენ მივაქცევ მათ ყურადღებას.

მეცადინეობის დროს იმ მეთოდით ხელმძღვანელობაა საჭირო, როგორიც მიღებულია პედაგოგიკის მეცნიერებაში, (მაგალ. მეთოდი ანალიზის და ზეპირი სიტყვიერების სწავლების, სუბიექტის გრძნობების ამეტყველებით, ბაღში თამაშობის დროს). და არავითარ შემთხვევაში საჭირო არ იქნება სხვა და სხვა ექსპერიმენტებით და ჰიპოტეზით სარგებლობა რომლის სასურველობაც საეჭვოა საზოგადოთ.

დარწმუნებული უნდა ვიყოთ ხარაგოულის მთელი ინტელიგენციის თანაგრძნობა ამ ახლად გახსნილ საბავშო ბაღისკენ იქნება მიმართული და შესაფერისი მზრუნველობით სასურველად წარმართავენ ამ სამაგალითო საქმის მსვლელობას.

გ. თავზარაშვილი.

სამტრედია. 30 სექტემბერს იყო მოწვეული სამტრედიის რაიონულ კოოპერატივთა კავშირის „კონა“-ს ინიციატივით ამავე რაიონში არსებულ კოოპერატივების თ ნამშრომელთა თათბირი. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) გამგეობის მოხსენება, 2) პაიის გადიდება ნატურის სახით, 3) მრავალ განყოფილებიანი კოოპერატივი და მიმდინარე კითხვები. ყველა კითხვების შესახებ ცოტა კამათის შემდეგ მიღებული იქნა რეზოლიუციები ერთხმად. ზემო დასახელებული კითხვები უნდა გადასულიყო რაიონში. ამ მიზნით ჰაგნის თემის გამგეობის მიერ იქნა მოწვეული 2 ოქტომბერს ამავე თემის კოოპერატივ „თანაგრძნობის“ წევრთა კრება.

წესდების თანახმად. კრება კანონიერად იქნა აღიარებული და აირჩიეს კრების თავმჯდომარე. შემდეგ ამისა ადგილობრივი რევკომის თავმჯდომარე ბ-ნი გიორგი ქვეთაია აცხადებს კრებას უკანონოდ და მოითხოვს გადადებას. მე, როგორც სარევიზიო კომისიის ერთი წევრთაგანი, მოვითხოვე თანახმად მთავრობის გამოცემულ დეკრეტისა და ცირკულიარისა № 1-სა, არ ჩარეოდა რევკომი კოოპერატივის შინაურ მუშაობაში და ამით ხელი არ შეეშალა ჩვენი მუშაობისათვის, ვინაიდან ეს სახალხო საქმეა და არა პარტიული; მაგრამ კანონზე მითითებამ ალბად გაანჯავრა ბ-ნი ქვეთაია და გამბედნიერა დაპატიმრებით.

ამისთანა ელემენტების წყალობით, საზოგადო საქმეს ძირი ეთხრება და ფუჭდება, რაც არ არის სასურველი არავისთვის. მოვითხოვ ყურადღებას ვისგანაც ჯერ არს. თუ უნდათ არ მიუთითოთ თუნდაც მათ მიერ გამოცემულ კანონების დაცვაზე, მოხსნან ყოველივე პასუხისმგებლობა ყველგან და კანონებზე ლაპარაკიც მეტი იქნება. მე მეორე და მესამე ადგილისაც ვითვლები პასუხისმგებელ პირათ და ჩემის მოვალეობის ასრულებაში ასეთი პირები ხელს მიშლიან.

ქალ. სამტრედიის და ჰაგნის თემის სარევიზიო კომისიის წევრი: **ხვედერიანი ხვიჩა.**

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—დრ. მთავარი კომიტეტი.

დაიკარგა პირადობის მოწმობა ილიკო კობიაშვილის სახელზე, რისაც გაუქმებულად ვაცხადებ.

დაეკარგა მოწმობა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა ივანე რაჟდენის ძე პირაქძემ, მიცემული ხან. უნივერსიტეტის მიერ, რაიც ჩაითვალოს გაუქმებულად.

ტირაჟი 1000

სტამბა „[illegible]“ [illegible] 4.

[illegible]